

გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი

1870 - 1939

მოწვევა

2014 წლის 29 დეკემბერი.

12.00 საათი

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი
საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებულ დიდ მამულიშვილთა
სიმბოლური საფლავი - მემორიალის ყვავილებით შემკობა

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, ელინოლოგის
გრიგოლ წერეთლის უკვდავყოფასთან დაკავშირებული
ცერემონიალი

შესავალი სიტყვა – ასოციაცია „კულტურათა დიალოგი – XXI“
პრეზიდენტი, პროფესორი ვალერი ასათიანი

გამომსვლელები:

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე,
პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი
რისმაგ გორდეზიანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე–
პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი

პროფესორი - სალომე ყუბანეიშვილი

ახალგაზრდა ელინოლოგი, დოქტორანტი გიორგი უგულავა

პროფესორი სიმონ წერეთელი

გრიგოლ წერეთლის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი

გრიგოლ წერეთელი – მშვენება ჩვენი უნივერსიტეტისა და მისი აღორძინების მონაწილე
(ივანე ჯავახიშვილი)

როგორც დიდი მეცნიერი, გ.ფ.წერეთელი ცნობილია მთელი მსოფლიოს ფილოლოგი – კლასიკოსებისათვის. მისი გამოკვლევები არასოდეს დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას ანტიკური სამყაროს შეცნობის საქმეში.... ბედნიერია ის, ვინც მას პირადად იცნობდა, შეეძლო ამ პოეტის მოსმენა, მისი გენიით დატკბობა
(თეოდორე პეტროვსკი)

საჯაროდ და კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ; ჩვენი ჰუმანიტარული ცოდნის არც ერთ დარგს (არც ე.წ. ზუსტ მეცნიერებათ), ივანე ჯავახიშვილის გარდა, არ ჰყოლია ისეთი დიდი პიროვნება და შემოქმედი, როგორიც გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი იყო... გრიგოლ წერეთლის შემოქმედებას მარადისობის ბეჭედი ასვამს, იგი უჭკნობ ელვარებას გამოსცემს.
თვით მისი სიარული ქუჩაში ქოლგა – ხელჯოხითა და პორტფელით ძალიან მიაგავდა ოლიმპოდან მიწაზე ჩამოსული ღმაერთკაცის სიარულს. იგი თითქოს ამართლებდა ადამიანის ჯიშის მოვლინებას ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე.
(აკაკი გაწერელია)

გრიგოლ წერეთელი იყო ყველაფერში მკვეთრად გამოხატული კლასიკოსი. ყველაფერში!... მისი ნათელი სახელი და შემოქმედება ნამდვილი სიმდიდრეა ჩვენი ხალხისათვის. ასეთი ადამიანის ჩრდილში ყოფნა დანაშაულია ერის წინაშე... მალე უნდა ჩადგეს იგი შთამომავლობის სამსახურში. მას უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, რადგან სამუდამოდ აქვს დაპყრობილი მაღალი გონების, უსათნოესი ზნეობის, ღრმა სარწმუნეობრიობის, თავდადებული, უკეთილშობილესი ვაჟკაცობის მწვერვალები ... (გარდა ამისა იგი თავის თავში განახორციელებს საქართველოს უმაღლეს კულტურულ კავშირს მსოფლიოს ნებისმიერ ხალხთან
(სოლომონ ხუციშვილი)

დღევანდელობამ საზოგადოებას ჩადენილ ცოდვათაგან განწმენდის საშუალება მისცა. ჩემს თაობას არ უდევს ბრალი ამ ცოდვაში, მაგრამ მას აწევს დიდი პასუხისმგებლობა ტრაგიკულად დაღუპულ სახელოვან მამულიშვილთათვის სათანადო პატივის მიგებისა და მათი მემკვიდრეობისათვის ახალი, უკვე მარადიული სიცოცხლის შთაბერვისა
(რისმაგ გორდეზიანი)

უფლის ნებით, დამოუკიდებელ საქართველოში აღდგა სამართლიანობა და ამიერიდან გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის სახელი სამუდამოდ აღიბეჭდება ეროვნულ მეხსიერებაში, მთაწმინდის მკვიდრ დიდ მამულიშვილთა გვერდით!
განანათლე სული მისი – AVE ANIMA CANDIDA !
(ვალერი ასათიანი)

საქართველო

ასოციაცია "ქალბატონობა თანადგომა - XXI"